

ენათშორისი პარემიული მოდელების  
ეკვივალენტობის განსაზღვრისათვის  
/არაბული და ქართული მასალის  
შეპირისპირებითი ანალიზის მაგალითზე/  
TOWARDS THE IDENTIFICATION OF EQUIVALENCE  
OF INTER-LINGUAL PAROEMIA MODELS  
/ON THE EXAMPLE OF THE COMPARATIVE ANALYSIS OF  
ARABIC AND GEORGIAN MATERIAL/

ხათუნა თუმანიშვილი  
Khatuna Tumanishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ენათშორისი, ეკვივალენტობა, პარემია,  
მეტაფორული

**Keywords:** Inter-lingual, Equivalence, Paroemia, Metaphorical

ცნობილია, რომ პარემიული (აქ – ანდაზური) მარაგი (მისი შემომქმედი ხალხის ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე მიღებული) ფენომენოლოგიური რეალობის კუთვნილებაა. მისი საშუალებით, მოცემული ეთნოსი „ფიგურალურად აფიქსირებს ცხოვრებისეულ კანონზომიერებებს“ (არ. ტეილორი). ის თავსდება ერთიანი ეროვნული ცნობიერების – „ნარმოსახვათა ერთობის“ (ბ. ანდერსონი) – სისტემაში, რომელსაც თითოეული ეთნოსი, ბუნებრივია, თავისი გადასახედიდან დასახული ფორმით გადმოსცემს. ანუ, თავისებურად ილუსტრირებს მის მიერ სამყაროს ამ კონკრეტულ ნაწილთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ამიტომ არის რთული უცხოენოვანი (უცხო კულტურის) ანდაზების სიღრმისეული გაგება და შესაბამისი ზოგადაზრობრივი განფენილობის რელევანტური ჩარჩოების (საკომუნიკაციო ნიშის) დადგენა. შესაბამისად, მისი შესწავლა (ენასთან ერთად) მოცემული ენობრივი კოლექტივის ეთნიკური თავისებურებების, გენეტიკური მახასიათებლების, მისი ეთნოფსიქოლოგიის შესწავლას გულისხმობს, რამდენადაც მასში ჩადებული ცოდნა მოცემული ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია.

დღეს, მიმდინარე ეპოქალური გამოწვევების ფეხდაფეხ (მძლავრი კულტურული ექსპანსიის პირობებში) პარემიოლოგია გლობალურ ქრილში სვამს საკითხს საანდაზო ენის ფუნქციაზე ტრადიციულ და თანამედროვე კულტურაში. მეცნიერებს უმნიშვნელოვანესად მიაჩნიათ განსხვავებულ კულტურათა მონაცემების შეპირისპირებითი კვლევა, რათა მიღებულ იქნას საერთაშორისო ანდაზების ერთობლივი მარაგი მათი მრავალფეროვანი ფუნქციებით სხვადასხვა კულტურაში.

თანადროული მოთხოვნების შესაბამისად, ლოგიკურია, იცვლება მიდგომებიც. როგორც ჩანს, ეს პროცესი მეტად დაკვირვებულ და ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს. არაბული და ქართული ანდაზური ფონდების შედარებამ გვიჩვენა, რომ ენათშორისი ზუსტი მონაცემების მისაღებად საჭიროა იმაზე დიდი ინფორმაციის მოპოვება, ვიდრე (ტრადიციულად მიღებული) ფიქსირებული პარემიული ტექსტების დედნიდან სიტყვასიტყვითი თარგმნა და ამ ფონზე ეკვივალენტების დაძებნის

მცდელობა იძლევა. ანდაზების ლექსიკონების გაცნობამაც დაგვარწმუნა, რომ პარალელურად გაგებული ერთეულები, რიც შემთხვევებში, ზუსტი ანალოგები არ არის. განსაკუთრებით ღრმად მეტაფორულ ერთეულებში „დაფარული“ არსებითის წვდომას, მოცემული „მეტაფორული აზროვნების“ (ჭ. ვიკო) სივრცეში (საგნებსა და მოვლენებს შორის) დადგენილი წარმოსახვითი ლოგიკური მიმართებების სწორი შეცნობა იძლევა. ამავდროულად, უცხოენოვანი მასალის განხილვა და შედარება უპირობოდ უნდა მოხდეს ადეკვატურ „სიტუაციურ ნიშაში“ გააზრების საფუძველზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული გარკვეული ცდომილებანი. წერილობით თუ ზეპირ კომუნიკაციაში მათი მართებული გამოყენება უეჭველად მოითხოვს სემანტიკური შეფერილობისა და სტილისტური მახასიათებლების ზუსტ ცოდნას.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზოგჯერ ერთი ანდაზის ექსპლიციტური მნიშვნელობა საფუძველი ხდება ერთზე მეტი (ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო) იმპლიციტური მნიშვნელობისა (ანდაზა-ომონიმები). თითოეული განზოგადებული მნიშვნელობა განსხვავებულ აზრობრივ მოდელს ქმნის და ბუნებრივია, სიტუაციურად განსხვავებულ კონტექსტს ექვემდებარება. შესაბამისად, თითოეულს სათანადო ენათშორისი ეკვივალენტი განესაზღვრება.

მოხსენება მიზნად ისახავს არაბული და ქართული პარემიული ეკვივალენტური მოდელების შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე გამოვლინოს, როგორ, რა ზოგადი და, ამავდროულად, თითოეულისთვის დამახასიათებელი რა კერძო საშუალებებით იქმნება მოცემული სიბრძნე მოცემულ ლინგვოკულტურულ სივრცეებში – „წარმოსახვათა ერთობის“ განსხვავებულ სისტემებში.

დასკვნები პრობლემის ზოგადთეორიულ მხარესაც მოიცავს.

არაბულენოვანი საანალიზო მასალა, რომელიც წარმოდგენილი იქნება მოხსენების დროს, მოპოვებულია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ არაბი (სირიელი, ლიბანელი) ინფორმანტებისაგან.

### ლიტერატურა:

- ჰასკელი რ. ე. – Haskell, R. E. (1986). Cognition and Symbolic Structure: Giambattista Vico and Discovery of Metaphoric Cognition. 165-175. Norwood. N.J., Ablex Publishing.
- მიდერი, ვ. – Mieder, W. (1996). Modern Paremiology in Retrospect and Prospect, Abstracts of Oral Presentations, The 1996 Tokyo International Proverb Forum.
- [http://www.sscnet.ucla.edu/comm/steen/cogweb/Abstracts/TokyoForum\\_96.html](http://www.sscnet.ucla.edu/comm/steen/cogweb/Abstracts/TokyoForum_96.html)
- რუსიეშვილი, მ. (2005). ანდაზა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- თარჯუმანი, ს. – (1987) «اشكال ام اي» – «امان حرت ام اس» ۱۹۸۷.

As is known, paroemia (here, proverbial) stock (received during the whole historical development of the people that created it) belong to phenomenological reality. By means of proverbs, the given ethnos “records figuratively the regularities of life” (Ar.Taylor). It falls within the system of the “imagined communities” (B. Anderson) unified national consciousness, which of course is expressed by each ethnos in its particular form, i.e. illustrates in its experience linked with this specific part of the universe. Therefore, it is difficult to understand fundamentally proverbs of a foreign language and to identify the relevant frames (communicative niche) of the respective general semantic domain. Accordingly, Its study implies (along with that of the language) the study of the ethnic peculiarities, the “genetic memory” and ethnopsychology of the given lingual collective, as the knowledge embedded in proverbs is a resource of the rationale of one or another ethnos, its ethnopsychic picture, existing in the form of the irrational.

At present, in accordance with the challenges of the current period (in the conditions of powerful cultural expansion), paremiology poses on the global level the question of the function of the proverb language in traditional and modern culture. Scholars attach great importance to the comparative study of the evidence of different cultures, in order to obtain a united stock of international proverbs

with their varied functions in different cultures. It is logical that approaches also undergo changes according to modern requirements. Obviously, the attitude to this process should be cautious and careful. The comparison of Arabic and Georgian proverbs has shown that in order to obtain accurate inter-lingual evidence it is necessary to get more extensive information than that offered by “literal” translation of the original of paroemia texts and by an attempt to search for parallels against this background. Familiarization with dictionaries of proverbs has also demonstrated that in a number of cases units understood as parallels are not exact. It is possible to gain insight into the “hidden” essence of especially profoundly metaphorical units by means of the correct cognition of the imaginary logical relations established (between objects and phenomena) in the given area of metaphorical thinking. At the same time, the consideration and comparison of foreign-language material should occur on the basis of the interpretation in the adequate “situational niche”, in order to avoid certain errors, as its correct use in written or oral communication undoubtedly requires exact knowledge of the semantic colouring and stylistic characteristics.

The practice shows, that sometimes a proverb with one explicit meaning is the basis for more than one implicit meaning (proverb-homonyms). Each generalized meaning obeys a different (sometimes opposite) semantic model and naturally, situationally different context. Accordingly, for each a suitable inter-lingual equivalent (or equivalents) is identified.

The presentation aims, on the example of the comparative study of Arabic and Georgian equivalent paroemia models, to interpret by what general and at the same time specific means, characteristic of each, the given wisdom is created in the given linguistic-cultural spaces – in the radically different systems of the „imagined communities”.

Conclusions also cover the general theoretical aspect of the problem.

The analyzed Arabic-language material, which will be presented at the time of the presentation, is obtained from the Arabic primary source, directly from the Arab informants.

## References:

- Haskell, R. E. (1986 ). Cognition and Symbolic Structure: Giambattista Vico and Discovery of Metaphoric Cognition. 165-175. Norwood. N.J., Ablex Publishing.
- Mieder, W. (1996). Modern Paremiology in Retrospect and Prospect, Abstracts of Oral Presentations, The 1996 Tokyo International Proverb Forum.
- [http://www.sscnet.ucla.edu/comm/steen/cogweb/Abstracts/TokyoForum\\_96.html](http://www.sscnet.ucla.edu/comm/steen/cogweb/Abstracts/TokyoForum_96.html)
- rusieshvili, m. (2005). andaza. tbilisi: tbilisis sakhelmtsipo universitetis gamomtsemloba.
- [Rusieshvili, M. (2005). Proverb. 3-228. Tbilisi: Tbilisi State University Press].
- Tarjumaan, S.- (1987) «ماشلا لام اي» - نامجرت ماس - ۱۹۸۷ قشمد.

მცენარეთა სახელების სემიტური ნასესხობები  
ქართულ ოთხთავში: ზეთის ხილი  
SEMITIC PLANT NAMES IN THE GEORGIAN GOSPEL:  
ZETIS XILI (OLIVE)

მარინე ივანიშვილი  
Marine Ivanishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ქართული საბარება, სემიტური ნასესხობები,  
მცენარეთა სახელები.

**Keywords:** Georgian Gospel, Semitic Borrowings, Plant Names.